ებრაელების რუსეთის იმპერიის სოციალურ-კულტურულ სივრცეში ინკორპორაციის თავისებურებები

მიხაილ ბარკანი
სტუ-ს დოქტორანტი
E-mail: barata49@mail.ru

რეზიუმე

თანამედროვე სოციალური და ჰუმანიტარული ცოდნის ცენტრალურ პრობლემას სოციო-კულტურული სივრცის კვლევა წარმოადგენს, მათ შორის მისი „ახალი იმპერიული ისტორიის" პარადიგმის ჩარჩოებში შესწავლაც.

სტატიაში გამოვლენილია ებრაელთა რუსეთის იმპერიის სივრცეში იმკორპორაციის (ჩართვის) თავისებურებები კომპარატივისტულ პერსპექტივაში. ინკორპორაცია განმარტებულია, როგორც ეთნიკური და კონფესიური დაჯგუფებების რუსული საზოგადოების სტრუქტურაში ჩართვის პროცესი, რომელიც რეალიზდება ენობრივ, ეკონომიკურ, სამხედრო, საგანმანათლებლო თუ სხვა სფეროთა სამართლებრივი რეგულირების მეშვეობით.

საკვანძო სიტყვები:
ებრაელთა ინკორპორაცია
ეთნიკური დაჯგუფება
„უცხოტომელები"
საკანონმდებლო პრაქტიკა

შესავალი

ჩვენ არ გაგვაჩნია „მე ვფიქრობ", გვაქვს მხოლოდ „ჩვენ ვფიქრობთ"

გოლდა მეირი

ებრაელი ხალხის ისტორიული გზების კვლევა ახალ დროში გულისხმობს ებრაული იმცირესობის რუსული იმპერიული სოციუმის ეთნოკონფესიურ და სამართლებრივ ველში შესვლის მექანიზმებისა და ფორმების ანალიზს.

XVIII საუკუნის ბოლოსა და XIX საუკუნის დასაწყისში დასავლეთ ევროპაში ხდებოდა ებრაული საზოგადოების თანდათანობითი ტრანსფორმაცია. ეს ცვლილებები გამოიხატებოდა სოციალური და ქონებრივი სტატუსის შეცლაში, ტრადიციული ეკონომიკური საქმიანობის ფორმათა ახლით შევსებაში, სამოქალაქო განათლების მიღების შესაძლებლობაში, სოციალურ-სამართლებრივ სივრცეში ინკორპორირების პროცესში და ადგილობრივი საზოგადოების სოციალური და კულტურული სტერეოტიპებისა და ნორმების შეთვისებაში. ტრადიციული „აღმოსავლელი ებრაელის" სახე წინააღმდეგობაში მოდიოდა „დასავლელი, ასიმილირებული" ებრაელის სახესთან, ვინაიდან ასოცირდებოდა ებრაული რელიგიური იდენტურობის შენარჩუნებასთან.

1. რუსეთის საკანონმდებლო პრაქტიკა „უცხოტომელთა" მიმართ

„არა მარტო რუსეთში, არამედ დასავლეთ ევროპაშიც, XIX საუკუნეში ჩამოყალიბდა დიხოტომია: მიღებული აზრის თანახმად, თანამედროვე, გაკულტურებული და ემანსიპირებული გერმანელი ებრაელის ანტიპოდად მიიჩნეოდა ჭუჭყიანი, მყვირალა, გაუნათლებელი, უბირი და ამორალური ადამიანი - აღმოსავლეთ ებრაელი გეტოდან." [3;142]

ამდენად, აღმოსავლეთ ევროპელი და, კონკრეტულად, რუსეთის ებრაელები ასოცირდებოდნენ ეთნიკური იდენტურობის შენარჩუნებასთან, მაშინ, როცა დასავლეთ ევროპაში მცხოვრები - ასიმილაციისა და აკულტურაციის პროცესებთან იგივდებოდნენ. რუსი ებრაელების ღრმა ტრადიციონალიზმმა და რელიგიურობამ განაპირობა მათი სწრაფვა თემური ინსტიტუტების შექმნისაკენ ებრაელთა რელიგიური წესის, - გალაჰას საფუძველზე. რუსული ებრაელობისგან გასხვავებით, დასავლეთ ევროპელი ებრაელების რელიგიურ-კულტურული ცხოვრების წესს წარმოადგენდა აქტიური აკულტურაცია, რამაც საფუძველი დაუდო მომავალი ემანსიპაციის პროცესებს. ხოლო რუსული ებრაელობა კი XIX საუკუნის შუაწლებამდე რჩებოდა გარე სამყაროსათვის ჩაკეტილ ეთნოკონფესიურ ჯგუფად.

მოსახლეობის კლასიფიკაციის რუსულ-იმპერიული სქემა გულისხმობდა ებრაელების გარკვეული ჯგუფისადმი მიკუთნებას, ამავდროულად ეს დაჯგუფება მოიცავდა ეთნოკონფესიურსა და პროფესიულ ნიშნებსაც. არსებული ტერმინოლოგიური სირთულეები აფერხებდა ებრაელთა რუსულ საზოგადოებაში ინკორპორირების პროცესს და აიხსნებოდა მათი მნიშვნელობების გან-

სხვავებით იმპერიულ და თანამედროვე დისკურსთან.

რუსეთის იმპერიის საკანონმდებლო და საზოგადოებათმცოდნეობის პრაქტიკაში ებრაელებთან მიმართებაში გამოიყენებოდა ტერმინები „შერწყმა" და „დაახლოება",. აღსანიშნავია, რომ ტერმინი „ემანსიპაცია" ძალზე იშვიათად გამოიყენებოდა ოფიციალურ დოკუმენტებში და უბრალო მსჯელობისასაც კი, რაც შეიძლებოდა აღქმულიყო, როგორც ემანსიპირების პროცესის შეუძლებლობა რუსული იმპერიის სივრცეში. სახელმწიფო მოხელეების რიტორიკაში ხშირად ჟღერდა ისეთი ფორმულირებები, როგორებიცაა: „ებრაელთა შესახებ არსებული დადგენილებების რუსეთის იმპერიის სხვა ქვეშევრდომთა შესახებ არსებულ კანონებთან შესაბამისობაში მოყვანა", „ებრაელთა შერწყმა სხვა სამოქალაქო მოსახლეობასთან", ანდა „ებრაელთა უფლებრივი გათანაბრება მოსახლეობის სხვა ფენებთან".

იმპერიული რუსეთის ეთნოკონფესიურ პოლიტიკაში ტერმინის „ემანსიპაცია" გამოყენება გამოხატავდა ებრაული ინტელიგენციის იმედს, რომ რუსეთის ებრაელობა გაივლიდა ე.წ. დასავლურ გზას. ხოლო ტერმინის მეორე არსობრივი კონტექსტი კი მიმართული იყო თვით რუსული ებრაელობისადმი, რომლებსაც ტრადიციულ წეს-ჩვეულებებზე უარის თქმისა და საწარმოო საქმიანობის ათვისების გზით უნდა მიეღწიათ ამ ემანსიპაციისათვის.

1835 წლიდან რუსეთის იმპერიის სოციალურ და სამართლებრივ სივრცეში ებრაული მოსახლეობის აღსაწერად გამოიყენებოდა ტერმინი „უცხოტომელი" („èíîðîäåö"). ამის ძირითად განმსაზღვრელ ფაქტორს წარმოადგენდა მათი ქრისტიანობისაგან განსხვავებული სარწმუნოება. მაგრამ სხვა „უცხოტომელთაგან" განსხვავებით ებრაელებს პრინციპულად განასხვავებდა ერთიან გეოგრაფიულ სივრცეში მათი ლოკალიზაცია - იმპერატორთა ბრძანებების თანახმად, ებრაელები იმპერიის დასავლეთ ნაწილში ცხოვრობდნენ. იურიდიული თვალსაზრისით ტერმინი „უცხოტომელი" განსაზღვრავდა ეთნიკური დაჯგუფების დაბალ სტატუსს, მაგრამ ამავდროულად იგულისხმებოდა, რომ რუსიფიკაციის შემდეგ მათ შეეძლოთ „ბუნებრივი მოსახლეობის" ფენაში გადასვლა.

ებრაული თვითმმართველობის სპეციფიკამ და სოციოკულტურული ცხოვრების სხვა თავისებურებებმა ასახვა პოვეს რუსეთის იმპერიის კანონმდებლობაშიც. სხვადასხვა საკანონმდებლო შეზღუდვა, რომლებიც ხელს უშლიდა ებრაელების ეკონომიკურსა და პროფესიულ საქმიანობას, აფერხებდა ინკორპორირების პროცესს. ხელისუფლებას მიაჩნდა, რომ „აღმოსავლეთ უცხოტომელები", დროთა განმავლობაში იქცეოდნენ აგრარულ ერებად, რომლებსაც არ დასჭირდებოდა სპეციალიზებული საკანონმდებლო ფიქსაცია. რუსეთის იმპერია ნებისმიერ „უცხოტომელს" განიხილავდა, როგორც პოტენციურად საშიშსა და არასაიმედოს, რის შედეგადაც მათდამი მიმართულ ეთნოკონფესიური პოლიტიკის ძირითად განმსაზღვრელ ფაქტორს წარმოადგენდა რუსიფიკატორული ტენდენცია, რაც გულისხმობდა „უცხოტომელთა" ასიმილაციის აუცილებლობას. ებრაელთა „უცხოტომელებად" აღიარებამ ფაქტიურად გააიგივა ეს ერი შუა აზიის ხალხებთან. მაგრამ არსებობდა მნიშვნელოვანი და პრინციპული სამართლებრივი განსხვავება: „აღმოსავლელ" უცხოტომელებს ჰქონდათ საკუთარი მმართველობა და ისინი გათავისუფლებულნი იყვნენ სამხედრო ვალდებულებისაგან, ებრაელები კი 1827 წლიდან ექვემდებარებოდნენ სარეკრუტო გაწვევას, ხოლო 1844 წელს კი იმპერიამ გააუქმა მათი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო - კაგალი. აღნიშნული ფაქტი მიუთითებს იმაზე, რომ რუსეთის იმპერიაში არსებობდა სხვაობები „უცხოტომელთა" შორისაც კი და ეს საკანონმდებლო დონეზე იყო დაფიქსირებული.

საკანონმდებლო დონეზე „ებრაული საკითხის" თანდათანობითმა რეფორმირებამ იმპერიის მართვის უმაღლეს ეშელონებში წარმოშვა აზრი ებრაელთა სხვა მოსახლეობასთან გათანაბრების შესახებ. დუმაში მსგავსი კანონპროექტების შეტანის ინიციატორები ეყრდნობოდნენ დასავლეთ ევროპის ქვეყნების მაგალითს. მაგრამ დუმა და პირადად იმპერატორები თვლიდნენ, რომ დასავლეთ ებრაელობიგან განსხვავებით, აღმოსავლეთ ებრაელების „მორალური მდგომარეობა" არ იძლეოდა უფლებრივი გათანაბრების საფუძველს. აქედან შეგვიძლია განვსაზღვროთ ***იმპერიის ეთნოკონფესიური პოლიტიკის უმთავრესი პრინციპი***, რომელსაც რუსეთი ატარებდა ებრაელთა ინკორპორაციის მიმართულებით - ***უფლებათა გათანაბრება მხოლოდ რუსიფიკაციის შემდეგ.***

2. დასავლურ სტანდარტებთან მიახლოების მცდელობები

დასავლეთის ქვეყნებში ინკორპორაცია მიმდინარეობდა შემდეგი სქემით: ჯერ ემანსიპაცია და ებრაელი მოსახლეობისათვის თანაბარი სამოქალაქო უფლებების მინიჭება, შემდეგ კი ასიმილაცია და აკულტურაცია. ის, რაც დასავლეთის ქვეყნებში წარმოადგენდა ემანსიპაციის შედეგს, რუსეთის იმპერიაში მიზეზად აქციეს.

მიუხედავად რუსეთში ებრაული საკითხის

რეფორმირების ნელი ტემპებისა, თვით გარდაქმნების ფაქტმა განაპირობა ებრაული მოსახლეობის თანდათანობითი შერწყმა იმპერიის სამართლებრივსა და სოციოკულტურულ სივრცესთან. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ინკორპორაცია შეზღუდული იყო ამა თუ იმ ფენისადმი კუთვნილებით.

ებრაელთა შორის გამოჩნდა ასიმილირებული ებრაელების ჯგუფები, რომელიც სახელმწიფოს კურსს უჭერდნენ მხარს, რის შედეგადაც აღწევდნენ ნაწილობრივ ინკორპორაციას. ეს მოხდა სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით „სასარგებლო" ებრაელების საერთო-რუსულ ეთნოკულტურულსა და კონფესიურ კონტექსტში ჩართვის გზით. ამ პროცესებს თან სდევდა სოციოკულტურული მოდერნიზაცია, რომელიც წარმოადგენდა ებრაული ცხოვრების წესისა და თვითშეგნების თანდათანობით სეკულარიზაციას, რელიგიური კანონისაგან და ტრადიციული საქმიანობიდან ჩამოშორებას.

ებრაელთა მიმართ რუსეთის იმპერიის ეთნოკონფესიური პოლიტიკის შემდგომმა ცვლილებამ ჩამოაყალიბა რამდენიმე მიმართულება, რომელთა მეშვეობითაც ვითარდებოდა ებრაელთა სოციალური მობილიზაცია, - ესაა ნაციონალური და რევოლუციური მოძრაობა. იმპერატორ ალექსანდრე II პოლიტიკამ გაჩინა ებრაული ინტელიგენციის ახალი ფენა, რომელმაც შეითვისა რუსული ლიბერალური პოლიტიკის სოციოკულტურული მოდელები და, საკუთარ ეროვნულ ნიადაგზე მათი ადაპტირების გზით, სათავე დაუდო რევოლუციური და ნაციონალური მოძრაობის წარმოშობას ებრაელთა დაჯგუფებების შიგნით.

რუსული ებრაელობის სოციო-კულტურულმა, პოლიტიკურმა, ეკონომიკურმა და სულიერმა მოდერნიზაციამ XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე შეამცირა თემური ინსტიტუტების როლი და შეცვალა მათი სტრუქტურა. ამ პერიოდში მოხდა სოციალური და ქონებრივი დიფერენციაცია, რომლის შედეგი გახდა სოციალური სტრატიფიკაცია, ანუ ებრაელთა საერთო მასას გამოეყო ბურჟუაზია, მეწარმეები, საშუალო კლასი, ხელოსნები და ა.შ.; მეტიც, გაჩნდა ინდუსტრიული პროლეტარიატის ებრაული ფენა. საგანმანათლებლო იდეების შეთვისებამ, განათლების სეკულარიზაციამ, ებრაელთა ცალკეული ოჯახების ევროპეიზაციამ სათავე დაუდეს ორ იდეურ მოძრაობას. პირველი დაკავშირებული იყო ასიმილაციისადმი სწრაფვასთან და სახელმწიფოში ინტეგრაციასთან; ხოლო მეორე, - რომელიც მომავალში ებრაული სახელმწიფოს ჩამოყალიბებას ჩაუდგა სათავეში, - გამოდიოდა იმ მოსაზრებიდან, რომ ემანსიპაცია ფაქტობრივად არ ცვლის ებრაელთა მდგომარეობას იმპერიაში, ვინაიდან ეხება მხოლოდ მოსახლეობის მაღალ ფენას და, გარდა ამისა, ასიმილაცია იწვევს ეროვნული იდენტურობის დაკარგვას.

მნიშვნელოვანია ებრაელთა სოციალისტური მოძრაობის წიაღში გამოჩენის თარიღის დაზუსტებაც. ეს ხდებოდა 1860-70-იან წლებში, ანუ დიადი რეფორმების პერიოდში, რომელთაც ძირეულად შეცვალეს რუსეთის იმპერიული პოლიტიკა ეთნოკონფესიურ საკითხში. ამ საკითხის გადაწყვეტა დაკავშირებულია რუსული ებრაელობის წიაღში მოდერნიზაციის პროცესების პრობლემატიკასთან, ვინაიდან სწორედ მე-19 საუკუნის შუა წლებში ებრაელთა მოსახლეობაში მასიურად გავრცელდა საგანმანათლებლო იდეები. სეკულარიზაციისა და სოციალური მობილიზაციის ზეგავლენით მომხდარმა ებრაული საზოგადოების ტრადიციული სტრუქტურის რღვევამ გამოიწვია ებრაელთა რუსულ სოციოკულტურულ მოდელში ინკორპორირების მასიური მოთხოვნილება. მაგრამ რუსული საზოგადოება დიდი ებრაული მასის „შემოჭრისათვის" არ აღმოჩნდა მზად, ანუ რუსული რეფორმატორული პროექტები ასეთი ტემპებისათვის არ იყო გათვლილი.

საჯარო სამსახური, უმაღლეს სკოლებში სწავლება, სამხედრო კარიერა და მრავალი სხვა სფერო ებრაელებისათვის კვლავ დახშულად რჩებოდა. სწორედ ამიტომაც მიეძალა ებრაელი ახალგაზრდობა სოციალისტურ მოძრაობებს, რომელიც არ მოიაზრებდა დისკრიმინაციას ეროვნული და რელიგიური ნიშნით. სოციალისტური დაჯგუფებებიდან კი ერთი ნაბიჯიღა რჩებოდა რევოლუციურ მოძრაობამდე, რომელშიც იმპერიული რუსეთისა და ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლა მათთვის ეროვნული უფლებებისათვის ბრძოლასთან იყო გაიგივებული.

ამდენად, რუსული საზოგადოების ფენობრივი სტრუქტურა, თავისი „რეგულარული" სოციოკორპორატიული იერარქიით, ეწინააღმდეგებოდა ებრაელთა მიღებას საკუთარი საზოგადოების წიაღში. დასავლეთ ევროპაში ებრაელების ემანსიპაცია ფორმირდებოდა საზოგადოების იერარქიული წესების რღვევისა და განადგურების, დასავლური ქვეყნებისათვის დამახასიათებელი ღირებულებების დევალვაციის პირობებში. რუსეთში კი ებრაელთა ემანსიპაციის საკითხი ქრონოლოგიურად უფრო გვიან წარმოიქმნა. რუსული საზოგადოების მოდერნიზაციამ რუსული ებრაელობის წიაღშიც გამოიწვია სოციალურ-ქონებრივი რღვევა და აქტიური ზეგავლენა მოახდინა „დასავლელი ებრაელის", როგორც მისაბაძი მაგალითის სოციოკულტურული სახის ფორმირებასა და კონსტრუირებაზე.

დასკვნა

რუსული ებრაელობის ცხოვრების ტრადიციული წესის თვისებრივ მახასიათებლებს წარმოადგენდა თემური ინსტიტუტების ფასეულობა და იუდაიზმის რელიგიურ-ეთიკური საწყისების შენარჩუნება. სწორედ ამ თავისებურებებს უწოდებდა იმპერიული რუსეთი ებრაელთა „მორალურ მდგომარეობას", რომლითაც ამართლებდნენ საკუთარ შოვინისტურ და დისკრიმინაციულ ეთნოკონფესიურ პოლიტიკას ებრაელთა მიმართ. ამისგან განსხვავებით, დასავლეთ ევროპის ებრაელები ცდილობდნენ საკუთარი თავის, როგორც „რელიგიური იმცირესობის", პოზიციონირებას, ანუ ისინი იქცეოდნენ ისეთ ფრანგებად, ინგლისელებად და გერმანელებად, რომლებსაც „მოსეს რჯული" სწამდათ. სწორედ ეს არის მათი სამოქალაქო საზოგადოებებში სწრაფი ინტეგრაციის შედეგი.

რუსეთის იმპერიის მოდერნიზაციის პროცესების თავისებურებამ ბევრად განაპირობა ეთნიკურ და კონფესიურ ჯგუფებთან მისი ურთიერთქმედება და ეროვნული და რელიგიური დაჯგუფებების ინკორპორირების პროცესი. XIX-XX საუკუნეებში რუსეთის ხელისუფლებამ განახორციელა ტაქტიკური სვლების მთელი რიგი, რომელთაც შედეგად უნდა მოეტანათ ებრაელთა ინკორპორირება რუსულ სამოქალაქო საზოგადოებასა და სოციოკულტურულ სივრცეში. დიდმა რეფორმებმა განაპირობა საკანონმდებლო ცვლილებები, მაგრამ ვერ მოსპო ებრაელთა მიმართ ქედმაღლური და შოვინისტური დამოკიდებულება. ამდენად, ებრაული საზოგადოების „გახსნაშ" მოუტანა რუსულ საზოგადოებას ლოგიკური შედეგი - სოციალიზმი და სიონიზმი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. „Новая имперская история постсоветского пространства"; სტატიების კრებული (ჟურნალის «Ab imperio» სტატიების კრებული) / ე. ანისიმოვის რედაქციით, ყაზანი, 2014

2. *Маурер Т.* Западные евреи? Восточные евреи? Аккультурация как парадигма сравнительной истории евреев в Германии и Восточной Европе // Ab Imperio. № 23. გვ. 60.

3. *Динур Б.* Религиозно-национальный облик русского еврейства // Книга о русском еврействе: от 1860-х годов до революции 1917 г.: სტატიების კრებული / ი. ფრუმკინის და გ. არონსოვას რედაქციით, მოსკოვი, „იერუსალიმი".; 2012, გ. 317

4. *Динур Б.* Мир, которого не стало. Воспоминания и впечатления (1884–1914) // Мосты культуры. М.; Иерусалим, 2008.

5. *Миллер А.И.* Империя Романовых и национализм. მოსკოვი, 2008. გვ. 95.

6. *Слокум Д.У.* Кто и когда были «инородцами»? Эволюция категории «чужие» в Российской империи // Российская империя в зарубежной историографии. ანთოლოგია, მოსკოვი, 2015, გვ. 504.

SPECIFIC FEATURES OF JEWISH INCORPORATION IN SOCIAL-CULTURAL SPACE OF THE RUSSIAN EMPIRE

MIKHAIL BARKAN
Doctoral Student of GTU
E-mail: barata49@mail.ru

Summary

The central problem of modern social and humanitarian knowledge in socio-cultural space probes, including the framework of the study within the "new imperial history" paradigm.

The article is devoted to the comparative historical analysis of the process of incorporation of East European Jews in socio-cultural space of the Russian Empire. Jewish integration into the Russian society is considered from the point of category and conceptual space of the problems of acculturation, assimilation and emancipation.

Keywords:
Hebrews incorporated
Ethnic groups
"Gentiles"
Legislative Practice